

სეს - ი : არ შეიძინოთ შეუმონმებელი რძის ნაწარმი და ხორცპროდუქტები



სურსათის ეროვნული სააგენტო მოსახლეობას მოუწოდებს, ახალი წლის დღეებში შეუმონმებელი ხორცპროდუქტებისა და რძის ნაწარმის შეძენისგან თავი შეიკავოს.

როგორც სააგენტოს თბილისის საქარაქო სამსახურის უფროსმა ვასილ ბარავაძემ დღეს ჟურნალისტებთან განაცხადა, მოსახლეობა უნდა მოერიდოს ზემოთ დასახელებული პროდუქტების შეძენას ისეთ ადგილებში, სადაც სურსათის ეროვნული სააგენტო კონტროლს არ ახორციელებს.

მისი თქმით, რძის ნაწარმი, ხორცი და ხორცპროდუქტები მაღალი რისკის შემცვერი საკვები პროდუქტებია და თუ შეუმონმებელი და ვადაგასური იქნება, შესაძლოა, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა დიდი რისკის ქვეშ დადგეს.

რაც შეეხება სახერმწიფოს მხრიდან მაღალი რისკის პროდუქტებზე კონტროლს, ვასილ ბარავაძის განცხადებით, შარშანდელ მონაცემებთან შედარებით, წელს კონტროლი ბევრად გაზრდილია და აღნიშნა, რომ სურსათის ეროვნულმა სააგენტომ ამ მიმართულებით 14 ათასზე მეტი აქტივობა განახორციელა.